სს „პეივ ბანკ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა
2023 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6

სრული შემოსავლის ანგარიშგება 6

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 8

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. მომზადების საფუძვლები 10
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა 13
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 16
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 17
6. კაპიტალის მართვა 19
7. ფული და ფულის ეკვივალენტები 19
8. არამატერიალური აქტივები 19
9. კაპიტალი 20
10. საპროცენტო შემოსავალი 20
11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 20
12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 20
13. პირობითი ვალდებულებები 21
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 21

მმართველობის ანგარიშგება 22

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0108 თბილისი,
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს პეივ ბანკ ჯორჯიას აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ **სს „პეივ ბანკ ჯორჯიას“** (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ბანკისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ბანკის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ **205145403**) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ბანკის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ბანკის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ბანკი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ბანკის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ბანკის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის" სახელით

თბილისი, საქართველო

1 ოქტომბერი 2024 წელი

სს პეივ ბანკ ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	**31.12.2023**
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	5,286
სხვა აქტივები		9
არამატერიალური აქტივები	8	200
სულ აქტივები		**5,495**
ვალდებულებები და კაპიტალი		
ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები		95
სხვა ვალდებულებები		21
სულ ვალდებულებები		**116**
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	9	5,000
გაუნაწილებელი მოგება		379
სულ კაპიტალი		**5,379**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**5,495**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 1 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი	_____	ომარ-სალიმ დანანი
გენერალური დირექტორის მოადგილე	_____	დმიტრი ბოჩაროვი

10 -21 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს პეივ ბანკ ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	5,286
სხვა აქტივები		9
არამატერიალური აქტივები	8	200
სულ აქტივები		**5,495**
ვალდებულებები და კაპიტალი		
ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები		95
სხვა ვალდებულებები		21
სულ ვალდებულებები		**116**
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	9	5,000
გაუნაწილებელი მოგება		379
სულ კაპიტალი		**5,379**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**5,495**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 1 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი	_____	ომარ-სალიმ დანანი
გენერალური დირექტორის მოადგილე	_____	დმიტრი ბოჩაროვი

10 -21 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს პეივ ბანკ ჯორჯია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	**2023 (14 მარტიდან)**
საპროცენტო შემოსავალი	10	261
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**261**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(171)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა		(88)
საოპერაციო მოგება		**2**
მოგების გადასახადის ხარჯი		-
მთლიანი სრული შემოსავალი		**2**

10 -21 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს პეივ ბანკ ჯორჯია

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023
წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებში		
მიღებული პროცენტი	10	261
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**261**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
არამატერიალური აქტივების შეძენა	8	(200)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(200)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
დამფუძნებელთან ოპერაცია		286
სააქციო კაპიტალის გამოშვება		5,000
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**5,286**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		(61)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა		**5,286**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		**-**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**7**	**5,286**

10 -21 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს პეივ ბანკ ჯორჯია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	**გაუნაწილებელი მოგება**	**სულ**
14.03.2023	**-**	**-**	**-**
სააქციო კაპიტალის გამოშვება	5,000	**-**	**5,000**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2	**2**
დამფუძნებელთან ოპერაცია	-	377	**377**
31.12.2023	**5,000**	**379**	**5,379**

10 -21 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

სს პეივ ბანკ ჯორჯია (შემდგომში "ბანკი") დაფუძნდა 2023 წლის 14 მარტს. თავდაპირველად ის რეესტრში დარეგისტრირდა როგორც სს პეივ ჯორჯია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საიდენტიფიკაციო ნომრით: 404668436. 2024 წლის 5 თებერვლიდან ბანკი ფუნქციონირებს, როგორც სს პეივ ბანკ ჯორჯია;

ბანკი ფუნქციონირებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის ლიცენზიით. 2023 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სს „პეივ ბანკ ჯორჯიაზე" ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპების გათვალისწინებით საბანკო საქმიანობის ლიცენზია გასცა, თუმცა რეალურ გარემოში საბანკო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება 6 თვით შეუზღუდა. როგორც ეს მე-14 შენიშვნაშია განმარტებული 2024 წლის 12 ივლისიდან 7 (შვიდი) თვის მანძილზე ეროვნულმა ბანკმა სს „პეივ ბანკ ჯორჯიას“ რეალურ გარემოში განხორციელების უფლება მიანიჭა და განუსაზღვრა მოთხოვნები, რომელიც ბანკმა ეტაპობრივად უნდა დააკმაყოფილოს.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქ. N 14.

ბანკის აქციების 100%-იანი წილის მფლობელია სინგაპურში დაარსებული ჰოლდინგური კომპანია Paving the Way Pte. Ltd. ბანკის საბოლოო ბენეფიციარები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

31.12.2023	წილობრივი ფლობა
ომარ-სალიმ დანანი	65%
საიმონ ჯეიმს ვანს-კოლინა	20%
დმიტრი ბოჩაროვ	15%
	100%

ბანკს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჰყავდა 3 თანამშრომელი, რომლებიც წარმოადგენენ ბანკის უმაღლეს ხელმძღვანელობას.

2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ბანკის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ბანკის სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლისთვის მოიცავს დაარსების შემდგომ - 2023 წლის 14 მარტიდან 31 დეკემბრამდე ოპერაციებს.

ბანკი სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ ლარში (თანხები მოცემულია ათასებში).

ფინანსური ანგარიშგების ფასს–ის მიხედვით მომზადება ბანკის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე - ანუ დაშვებით, რომ ბანკი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ბანკისათვის.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ბანკის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობა მისი მიზნების მისაღწევად და შესასრულებლად.

ხელმძღვანელობას აქვს გონივრული მოლოდინი, რომ ბანკს, მთლიანობაში, აქვს საკმარისი რესურსი, ფუნქციონირების გასაგრძელებლად, ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას ბანკის შესაძლებლობას, გააგრძელოს ფუნქციონირება პროგნოზირებად მომავალში.

ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) სააღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.

ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

ფასს 17-ის გამოცემის შემდეგ, სტანდარტში შევიდა შესწორებები და გადავადდა ძალაში შესვლის თარიღი.

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, როდის არის მოსალოდნელი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორება) - 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 8-ის შესწორება, რომელმაც დაამატა სააღრიცხვო შეფასებების განმარტება ბასს 8-ში. შესწორებაში ასევე დაზუსტდა, რომ სააღრიცხვო შეფასებაზე ამოსავალი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილების გავლენით გამოწვეული შედეგი წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას, თუკი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილება გამოწვეული არ არის წინა პერიოდის შეცდომების გასწორებით.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა თავდაპირველი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.15-ს დაემატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამონაკლისი არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს. ბანკის ხელმძღვანელობის შეფასებით, აღნიშნულ ცვლილებებს არ აქვს არსებითი გავლენა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბას 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა აგენდა გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ბანკის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსის არ არსებობს გრძელ ვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშავებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სხვა

ბანკის ხელმძღვანელობას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ბანკი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული წარმოდგენილია ლარში, რომელიც ბანკის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში არსებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ბანკი ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს ბიზნესმოდელის შესაბამისად, ერთ-ერთი კატეგორიით შემდეგი სამი კატეგორიიდან:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ამ ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელზე. ბანკმა ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ბანკი მხოლოდ მაშინ აფასებს ამორტიზებული ღირებულებით ფინანსურ აქტივებს, თუ ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანიც არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს (SPPI);

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ბანკი ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ბანკი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) ბანკმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცააქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ბანკი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ბანკი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებები

ბანკს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა

ბანკი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. ბანკი ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულ პირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადახდილი ოდენობა მოიცავს გადაცემულ არა-ფინანსურ აქტივებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და ნაკისრ ვალდებულებებს, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების ჩათვლით.

თუ ფინანსური ვალდებულების მოდიფიცირება არ არის აღრიცხული როგორც აღიარების შეწყვეტა, მაშინ ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება გაანგარიშებულია მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით და შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი გაწეული საკომისიო ხარჯი აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების დარჩენილ ვადაზე ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ხელახლა გამოთვლით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საფინანსო დაწესებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, რომელთა დაფარვის ვადა შესყიდვიდან 90 დღე ან ნაკლებია და რომლებიც ექვემდებარება მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილებების არა-არსებით რისკს და გამოიყენება ბანკის მიერ მისი მოკლევადიანი ვალდებულებების სამართავად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე. არამატერიალური აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს საბანკო ლიცენზიას. საბანკო ლიცენზიას აქვს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა და არ ამორტიზდება.

გადავადებული საგადასახადო აქტივი/ვალდებულება

დროებითი სხვაობები ფინანსური აღრიცხვის მიზნებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ ოდენობებს შორის წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის არაარსებითობის გამო გადავადებული საგადასახადო აქტივი/ვალდებულება არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დამფუძნელებთან ოპერაციები

დამფუძნებელთან ოპერაციები მოიცავს დამფუძნებლის მიერ ბანკის ზოგიერთი ვალდებულების დასაფარად გადახდილ თანხებს. აღნიშნული ვალდებულებები დამფუძნებელმა ბანკს აპატია. ეს ოპერაცია აკმაყოფილებს დამფუძნებელთან ტრანზაქციის განმარტებას და შესაბამისად აღირიცხება, როგორც მასთან განხორციელებული ოპერაციები - კაპიტალის მუხლში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება

მიმდინარე საბანკო ანგარიშზე განთავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის შემოსავლად აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ხარჯის აღიარება

ბანკი ხარჯად აღიარებს მხოლოდ ისეთი ტიპის მომსახურებებს, რომელთა მისაღებად პეივ ბანკ ჯორჯიას აქვს გაფორმებული მომსახურების გამწევ კომპანიებთან ხელშეკრულებები. ზოგიერთ შემთხვევაში, მომსახურების ღირებულებას სრულად იხდის ბანკის დედა კომპანია, ბანკისგან რაიმე სახის ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე. ამ შემთხვევაში პეივ ბანკ ჯორჯია არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს და ხელშეკრულება გაფორმებულია ბანკის დედა კომპანიასა და სერვისის გამწევს შორის. ასეთი მომსახურებების ხარჯად აღიარება სს პეივ ბანკ ჯორჯიას ანგარიშგებაში არ ხდება.

ხარჯი საოპერაციო იჯარიდან

ბანკი ქირაობს ფართს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების სპეციფიკას. ბანკი არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას მოკლევადიანი იჯარებისთვის.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ბანკის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსური ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ბანკი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ხარჯის აღიარება - ბანკი ხარჯად აღიარებს მხოლოდ ისეთი ტიპის მომსახურებებს, რომელთა მისაღებად პეივ ბანკ ჯორჯიას აქვს გაფორმებული მომსახურების გამწევ კომპანიებთან ხელშეკრულებები. ზოგიერთ შემთხვევაში, მომსახურების ღირებულებას სრულად იხდის ბანკის დედა კომპანია, ბანკისგან რაიმე სახის ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე. ამ შემთხვევაში პეივ ბანკ ჯორჯია არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს და ხელშეკრულება გაფორმებულია ბანკის დედა კომპანიასა და სერვისის გამწევს შორის. ასეთი მომსახურებების ხარჯად აღიარება სს პეივ ბანკ ჯორჯიას ანგარიშგებაში არ ხდება.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ბანკის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბანკის რენტაბელურობისათვის და ბანკის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. ბანკის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის, საბაზრო, საოპერაციო რისკები და სხვა არაფინანსური რისკები. ბანკის მიერ დანერგილი რისკის მართვის სისტემა საქმიანობის თითოეული მიმართულებისთვის თითოეული ტიპის რისკის დასაშვებ დონეს აწესებს და უზრუნველყოფს მის დაცვას.

დირექტორთა საბჭოს აქვს საერთო პასუხისმგებლობა რისკის მართვის ჩარჩოს ზედამხედველობაზე, ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობასა და მისი რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიმოხილვაზე, აგრეთვე არსებითად დიდი დაქვემდებარებების დამტკიცებაზე.

სამეთვალყურეო საბჭო საბოლოოდ პასუხისმგებელია რისკების განსაზღვრასა და კონტროლზე.

საკრედიტო რისკი

ბანკი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც გულისხმობს, რომ მომხმარებელს ან კონტრაგენტს არ შეუძლია თავისი ვალდებულებების შესრულება – გადაუხდელი თანხების გადახდა. საბალანსო მუხლების საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს მათ საბალანსო ღირებულებებს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ აქვს აღრიცხული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან ხელმძღვანელობის მოსაზრებით კომპანიის ფინანსური აქტივები - ფული და ფულის ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის წარმოადგენს „არც გაუფასურებული და არც ვადაგადაცილებული აქტივების კატეგორიას“ და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ აქტივებზე 0-ს უტოლდება.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება, რაც გამოწვეული იქნება ცვლილებებით საბაზრო ცვლადებში, როგორებიცაა საპროცენტო განაკვეთი და უცხოური გაცვლითი კურსი. ბანკს არ გააჩნია არსებითი საბაზრო რისკი.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი არსებითად არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან მას არ გააჩნია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები, რომლებიც ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების მატარებელია.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება გაცვლითი კურსის მერყეობის გამო.

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია ბანკისთვის ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი ვალუტები, რომლებშიც ძირითადად გამოხატულია ბანკის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზის პროცესში ფასდება უცხოური ვალუტის ლარის მიმართ კურსის ცვლილების ეფექტი, როდესაც სრული შემოსავლის ანგარიშგების ყველა სხვა პირობა უცვლელია (სავალუტო კურსის მიმართ მგრძნობიარე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო).

	ლარი	აშშ დოლარი	31.12.2023
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,286	-	**5,286**
	5,286	**-**	**5,286**
ფინანსური ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	95	-	**95**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	21	**21**
	95	**21**	**116**
ღია სავალუტო პოზიცია	**5,191**	**(21)**	

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მგრძნობელობის ანალიზი

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ბანკის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ბანკის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ბანკის ხელმძღვანელობის მიერ.

მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

გავლენა წმინდა მოგებაზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2023	ლარი / აშშ დოლარი	ლარი / აშშ დოლარი
	20%	-20%
მოგება/(ზარალი)	(4)	4

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი ვერ შეძლებს მისი გადახდის ვალდებულებების დაკმაყოფილებას დაფარვის თარიღისთვის ჩვეულებრივ და სტრესულ სიტუაციაში.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს ზარალის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მოვლენების გამო. როდესაც ვერ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ყველა საოპერაციო რისკის აღმოფხვრა შეუძლებელია, მაგრამ პოტენციურ რისკების სწორად განსაზღვრით და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვით ბანკს შეუძლია რისკების მართვა. კონტროლის მექანიზმები უნდა ითვალისწინებდეს უფლება-მოვალეობების სწორად განაწილებას, წვდომების, უფლებამოსილებების იერარქიულ სტრუქტურებს და ოთხი თვალის პრინციპის დანერგვას, კადრებში რისკებზე ორიენტირებული კულტურის ჩამოყალიბებას, მომზადების და შეფასების პროცესებს.

დარჩენილი საკონტრაქტო ვადების ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით.

	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტი	31.12.2023
ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	95	-	**95**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	21	-	**21**
სულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული პოტენციური მომავალი გადახდები	**116**	**-**	**116**

ფასს 7 სამართლიანი ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ბანკის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებსაც მოკლევადიანი დაფარვის ვადა აქვთ (3 თვეზე ნაკლები), ნავარაუდევია, რომ მათი საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას უტოლდება.

ფული და ფულის ეკვივალენტები, ფულის ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში, საიჯარო ვალდებულებები, ვალდებულებები საკორესპონდეტო ანგარიშების გამოყენებიდან და სხვა ფინანსური ვალდებულებები - ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, რომელიც მათ მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან არის მიახლოებული. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია პირველი დონის, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

6. კაპიტალის მართვა

ბანკის კაპიტალის მართვის ძირითადი მიზნებია:

- უზრუნველყოფა, რომ ბანკს მუდმივად ჰქონდეს საკმარისი ოდენობის და ხარისხის კაპიტალი, რათა ყველაზე ცუდ შემთხვევაშიც შეეძლოს სხვადასხვა რისკის შედეგად გამოწვეული (პოტენციური) დანაკარგების დაფარვა.
- შესაბამისობაში იყოს საქართველოს საბანკო სექტორის მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაწესებული გარე კაპიტალის მართვის მოთხოვნებთან.
- ბანკის მიერ უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის თანახმად სტაბილური განვითარების გეგმების განხორციელება.

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების თანახმად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა გაუნაწილებელი მოგების გათვალისწინებით აღემატებოდეს 5 მილიონ ლარს. ბანკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას.

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტში განთავსებული თანხისგან ეროვნულ ვალუტაში.

ხარისხობრივი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „Fitch Ratings"-ის მიხედვით საქართველოს მთავრობის გრძელვადიანი უცხოური და ადგილობრივი ვალუტის ემიტენტის დეფოლტის რეიტინგები (IDRs) უცხოურ და ადგილობრივ ვალუტაში, განსაზღვრულია 'BB+' დადებითი პროგნოზებით. (ემიტენტის რეიტინგები საქართველოს უფროს არაუზრუნველყოფილ ობლიგაციებზე უცხოურ და ადგილობრივ ვალუტაში ასევე დადასტურებულია „BB+" რეიტინგით დადებითი პროგნოზებით. ქვეყნის ზედა ზღვარი დადასტურებულია როგორც 'BBB-' და მოკლევადიანი უცხოური ვალუტაში ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი 'B'-თი.

31.12.2023 მდგომოარებით ბანკს განთავსებული აქვს ფულადი სახსრები "BB" საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკში. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის არა-არსებითი საანგარიშგებო თარიღებისთვის.

8. არამატერიალური აქტივები

ბანკის არამატერიალური აქტივები შედგება საბანკო ლიცენზიისაგან (თვითღირებულება: 200 ათასი ლარი). ლიცენზია უვადოა და არ ხდება მისი ამორტიზება.

9. კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სააქციო კაპიტალი მოიცავდა 5,000,000 ავტორიზებულ სრულად გადახდილ აქციებს, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული. ბანკის სააქციო კაპიტალი შედგება აქციონერის შენატანისგან ქართულ ლარში. საქციო კაპიტალი შედგება ჩვეულებრივი აქციებისგან.

10. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი 2023 წელს (261 ათასი ლარი) სრულად წარმოდგენილია ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული საპროცენტო სარგებლისგან.

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023
საკონსულტაციო ხარჯი	(144)
საიჯარო ხარჯი	(27)
	(171)

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 ,,დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. ბანკისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აქციონერი
კაპიტალი	
აქციების გამოშვება	5,000
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები	377

13. პირობითი ვალდებულებები

ეროვნული ბანკის მოთხოვნები - 2023 წლის 14 დეკემბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სს „პეივ ჯორჯიას“ საბანკო საქმიანობის ლიცენზია მიანიჭა. დადგენილების გამოცემის შემდეგ, ბანკს დაუწესდა კონკრეტული შეზღუდვები საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებით 7 თვის ვადით, რომლის განმავლობაშიც ეტაპობრივად უნდა დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნები. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი ამ მოთხოვნების შესრულების პროცესშია. საქართველოს ეროვნული ბანკი ინარჩუნებს უფლებამოსილებას, გააუქმოს სს „პავე ბანკ ჯორჯიას“ საბანკო ლიცენზია, თუ ეს მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული.

იურიდიული საკითხები - 2023 წელს ბანკს არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობა იყენებს შიდა და გარე პროფესიონალების კონსულტაციებს და მიიჩნევს, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა იურიდიულ საკითხებთან დაკავიშირებით, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ბანკის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ბანკს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ბანკის ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ბანკის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საბანკო საქმიანობების განხორციელების უფლების მინიჭება

2024 წლის 12 ივლისიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბანკს მიანიჭა უფლებამოსილება განახორციელოს საბანკო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული მომსახურება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით. ეს უფლებამოსილება მოქმედებს 7 თვის ვადით და ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობით ინსტრუქციებში მითითებულ პირობებს. მინიჭებულ უფლებებში შედის:

- როგორც პროცენტიანი, ისე უპროცენტო დეპოზიტების (მათ შორის მოთხოვნამდე დეპოზიტების, ვადიანი დეპოზიტების და სხვა ასანაზღაურებელი ინსტრუმენტების) მოზიდვა;
- სესხების გაცემა რომელიც მოიცავს სამომხმარებლო, იპოთეკურ, არაუზრუნველყოფილ და სხვა ტიპის კრედიტებს;
- კანონით ნებადართული სხვა აქტივობები.

კაპიტალის ზრდა

2024 წლის 5 ივნისს ბანკის აქციონერის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბანკის მიერ ნებადართული კაპიტალის გაზრდის შესახებ 8,000 ათას ლარამდე, რისთვისაც მოხდა დამატებით 3,000,000 ცალი ჩვეულებრივი აქციის გამოშვება (თითოეული ნომინალური ღირებულებით 1 ლარი). აღნიშნული ახალი აქციების განაღდება მოხდა 2024 წლის 28 ივნისს. აღნიშნული აქციების ემისიიდან ეროვნულმა ბანკმა კომპანიის საზედამხედველო კაპიტალად აღიარა მხოლოდ 2,549 ათასი ლარი (ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული ჯამური საზედამხედველო კაპიტალი შეადგენს 7,549 ათას ლარს).

სს „პეივ ბანკ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება
საქმიანობის მიმოხილვა

2023 წელი

შინაარსი:

1. ზოგადი ინფორმაცია და ბანკის საქმიანობის ანალიზი 24
2. მმართველობა 24
3. ინფორმაცია ბანკის ფილიალებთან დაკავშირებით 31
4. ორგანიზაციის მომავალი განვითარების გეგმები 31
5. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები 31
6. საკუთარი აქციების გამოსყიდვა 31
7. რისკების მართვა 31
8. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 34
9. არაფინანსური მაჩვენებლები 35
10. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ 35

1. ზოგადი ინფორმაცია და ბანკის საქმიანობის ანალიზი

სს “პეივ ბანკ ჯორჯია” (შემდგომში "ბანკი") დაარსდა 2023 წლის 14 მარტს. თავდაპირველად ის რეესტრში დარეგისტრირდა როგორც სს „პეივ ჯორჯია“. 2024 წლის 05 თებერვალს მოხდა საფირმო სახელწოდების ცვლილება, საქართველოს ეროვნული ბანკისგან ლიცენზიის მიღების შემდეგ. დღესდღეობით სააქციო საზოგადოება “პეივ ბანკ ჯორჯია” მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 404668436;

ბანკი ფუნქციონირებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის ლიცენზიით (ლიცენზიის ნომერი და გაცემის თარიღი: N305 - 14.12.2023). 2023 წელს დეკემბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სს "პეივ ჯორჯიაზე", ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპების გათვალისწინებით, საბანკო საქმიანობის ლიცენზია გასცა, თუმცა რეალურ გარემოში საბანკო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება 7 თვით შეუზღუდა. 2024 წლის ივლისში ეროვნულმა ბანკმა სს პეივ ბანკ ჯორჯიას რეალურ გარემოში საბანკო საქმიანობის განხორციელების ნებართვა მისცა.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქ., N 14

2. მმართველობა

ბანკის მმართველობითი ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და ბანკის დირექტორატი. აქციონერთა საერთო კრება ბანკის უმაღლესი მმართველი ორგანოა, რომელიც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს. თავის მხრივ, ბანკის საქმიანობაზე ზედამხედველობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ხოლო,, ყოველდღიური საქმიანობის მენეჯმენტი და ადმინისტრირება ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არჩეული დირექტორთა საბჭოს მიერ. დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი.

აქციონერთა კრება

ბანკის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა კრება. აქციონერთა წლიური საერთო კრება მოწვეული უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ყოველწლიურად, საზოგადოებას საბუღალტრო დოკუმენტაციის წლიური გარე აუდიტის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 2 (ორი) თვისა და წინა ეკონომიკური წელიწადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვისა.

აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია და კვორუმი შემდგარია, თუ კრებას ესწრება არანაკლებ 70% (სამოცდაათი პროცენტი) აქციების მფლობელი აქციონერ(ებ)ი. თუ აქციონერთა საერთო კრება არ შედგა, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, იმავე დღის წესრიგით და საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადაში მოიწვევა ახალი კრება მოქმედი კანონმდებლობის პროცედურების შესაბამისად. აქციონერთა ასეთი საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრე (ან მათი წარმომადგენლების) რაოდენობის მიუხედავად.

ბანკის წესდების თანახმად, თუკი საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საერთო კრება განიხილავს და არანაკლებ ხმების 75%-ით იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს: წესდებაში/სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, საზოგადოებას საქმიანობის შეცვლა, კაპიტალთან დაკავშირებული საკითხები (მათ შორის, აქციათა რიცხვის გაზრდა ან შემცირება, აქციათა კლასის შეცვლა), აქციათა გამოყენება უზრუნველყოფის საშუალებად, საზოგადოებას რაიმე სახის რეორგანიზაცია, მათ შორის ტრანსფორმაცია, კონსოლიდაცია, შერწყმა, სხვა კომპანიის შეძენა, გაკოტრების ან ლიკვიდაციის საქმის წარმოების დაწყება, სხვა კომპანიის ან მისი ბიზნესის შეძენა, ბანკის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშის დამტკიცება, ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში, ბანკის დაშლის ან მისი საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცება, მათ შორის ლიკვიდატორების დანიშვნა და გათავისუფლება, ბანკის აქტივების სრული ან მნიშვნელოვანი ნაწილის გასხვისება,

დივიდენდების გადახდა და დივიდენდებთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებები, გარე აუდიტორების შერჩევა და შეცვლა, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დაშლა და მათი ზოგადი უფლებამოსილებების გაუქმება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურების განსაზღვრა, ახლად გამოშვებული აქციების შესყიდვის/განთავსების ფასის განსაზღვრა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და დათხოვნა (გარდა სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ ერთი დამოუკიდებელი წევრის არჩევის ან დათხოვნის საკითხისა, რაც საჭიროებს აქციონერთა კრების ერთსულოვან გადაწყვეტილებას), მონათესავე საწარმოებთან და დაკავშირებულ პირებთან დასადები ხელშეკრულებების ან გარიგებების დამტკიცება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციონერი არის:

აქციონერი	მისამართი	საიდენტიფიკაციო N	აქციათა რაოდენობა	ნებადართული აქციების %	განთავსებული აქციების %
Paving The Way Pte Ltd	160 რობინსონ როუდი, N14-04, სინგაპური (160 Robinson Road , N14-04, Singapore) (068914)	202237938C	5,000,000	100%	100%

ბანკის ბენეფიციარი მფლობელები	წილი %
ომარ-სალიმ დანანი	65.00%
საიმონ ჯეიმს ვანს-კოლინა	20.00%
დმიტრი ბოჩაროვ	15.00%
სულ	**100%**

სამეთვალყურეო საბჭო

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო შედგება სულ მცირე 3 (სამი) წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გადარჩევა/გადაყენება ხდება აქციონერთა საერთო კრების მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს ერთ მესამედს, მაგრამ არანაკლებ ორ წევრს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი წევრის სტატუსი საიდანაც ერთის არჩევა უნდა მოხდეს აქციონერთა საერთო კრების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით. თუ ეს სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული აქციონერთა საერთო კრების მიერ, სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა არაუმეტეს 3 (სამი) წლით, თუმცა, მისი უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ, მორიგი აქციონერთა საერთო კრების მოწვევამდე.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები უნდა გაიმართოს სულ მცირე კვარტალში ერთხელ მაინც, საზოგადოებას მისამართზე ან ნებისმიერ სხვა ადგილას ან ელექტრონულად, რომელსაც განსაზღვრავს თავმჯდომარე. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა შეიძლება გაიმართოს საბჭოს წევრთა პირადი დასწრებით, ტელეფონით, ვიდეო ზარით, წარმომადგენლის მეშვეობით, ფაქსით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შესაძლოა წარმოდგენილი იყვნენ საბჭოს სხვა წევრების მიერ. ერთი წევრი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ერთი სხვა წევრით. საკითხები, რომლებიც საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებას, შეიძლება მიღებულ იქნას წერილობითი გადაწყვეტილების დაგზავნის გზით, რომელიც ძალაში შედის ყველა წევრის მიერ მისი მიღების და თავმჯდომარის ხელმოწერის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთვის საჭიროა მისი სანოტარო წესით დამოწმება.

სამეთვალყურეო საბჭო შემდგარად ითვლება და მას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია წევრთა უმრავლესობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განიხილება დაკავშირებულ პირთან გარიგების დამტკიცება, რაც საჭიროებს იმ წევრთა არანაკლებ ორი მესამედის თანხმობას, რომელთაც არ გააჩნიათ ინტერესთა კონფლიქტი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არაა უფლებამოსილი გადაწყვეტილებების მისაღებად, თავმჯდომარეს შეუძლია, სამი სამუშაო დღის ვადაში, მოიწვიოს ახალი სხდომა. ახალი სხდომა უფლებამოსილი იქნება გადაწყვეტილებების მიღებაზე, თუ მას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს სულ მცირე 3 (სამი) წევრი. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს აქციონერთა საერთო კრებას.

თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უბრალო უმრავლესობით, შემდეგ საკითხებზე: საზოგადოების კორპორაციული მართვის დებულების დამტკიცება/შეცვლა, აქციონერთა საერთო კრებისთვის წარსადგენი გადაწყვეტილებების თაობაზე წინასწარი რეკომენდაციების გაცემა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევა, აქციონერთა წლიური საერთო კრების და აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა, გარე აუდიტორებისათვის გადასახდელი ანაზღაურებისა და კომპენსაციის თანხასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის გეგმების დამტკიცება, საზოგადოებას მმართველი გუნდის საქმიანობის კვარტალური მიმოხილვა და შეფასება ძირითად სამუშაო და საფინანსო ამოცანებთან მიმართებაში, ფილიალებისა და სერვის-ცენტრების შექმნა და ლიკვიდაცია, და/ან სხვა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც შესაძლოა მოითხოვდეს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას.

თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული, შემდეგ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება ხდება სამეთვალყურეო საბჭოს კრებაზე დამსწრე ან წარმოდგენილი წევრების ორი მესამედით: გენერალური დირექტორის და დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნა და თანამდებობიდან გადაყენება, მათთან შრომითი კონტრაქტების გაფორმება და შეწყვეტა, უძრავი ქონების ან სხვა აქტივების შეძენა, გასხვისება და უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება, თუ ასეთი ოპერაციები სცილდება საზოგადოებას ყოველდღიური ეკონომიკური საქმიანობის სფეროს და თუ ასეთი ოპერაციების მოცულობა აჭარბებს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარს, ფინანსური სახსრების მოზიდვა თუ ეს სცილდება საზოგადოებას ყოველდღიური ეკონომიკური საქმიანობის სფეროს და თუ ასეთი სესხის მოცულობა აჭარბებს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარს, ახალი საბანკო საქმიანობის (საქმიანობების) წამოწყება ან არსებული საბანკო საქმიანობის (საქმიანობების) შეწყვეტა ან შეჩერება, მონათესავე საწარმოებთან და დაკავშირებულ პირებთან გარიგებების დამტკიცება (საზოგადოებას წიდა პოლიტიკებისა და საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით), ბიზნესის სტრატეგიის საერთო პრინციპების და საზოგადოებას ბიზნეს გეგმის განსაზღვრა და წლიური ბიუჯეტის დამტკიცება.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები:

- **ეინურ ბუტია**

ეინურ ბუტია ფლობს მაგისტრის ხარისხს საერთაშორისო ფინანსებში HAUTES ETUDES COMMERCIALES-დან, პარიზი, საფრანგეთი და ინჟინერიის ხარისხს (წარჩინებით) Télécom Paris-დან. JPMorgan-ში მუშაობის 20 წლიანი პერიოდის განმავლობაში, ბ-ნმა ბუტიამ დიდი ცოდნა დააგროვა აქტივების სხვადასხვა კლასებში, რაც მოიცავს საკრედიტო პროდუქტებს, ფასიან ქაღალდებს, ახალ ბაზრებს, სასაქონლო ბირჟებსა და სტრუქტურულ ფინანსებს. JPMorgan-ში მუშაობის განმავლობაში, ბ-ნმა ბუტიამ დიდი როლი ითამაშა ფონდთან დაკავშირებული ბიზნესების რეპოზიციონირებაში, რამაც განაპირობა JPMorgan-ის მიერ მსოფლიო მასშტაბით დახურული ფონდებისთვის უზრუნველყოფილი ფინანსების წამყვანი მიმწოდებლის ადგილის დაკავება. მან წვლილი შეიტანა სასაქონლო ინვესტორთა ბიზნესის გაფართოებაში. ამას გარდა, ბ-ნმა ბუტიამ საგულისხმო წვლილი შეიტანა ალტერნატიული ინვესტიციების ფრენშაიზის შექმნაში, რომელიც მომსახურებას უწევდა ინსტიტუციონალურ კლიენტებს ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკის რეგიონში. JPMorgan-ში მუშაობის გამოცდილების გარდა, ბ-ნმა ბუტიამ შეიძინა მრავალ-ოჯახიანი ოფისი, რომელიც აერთიანებს პერსონალურ ინვესტიციებსა და ფინანსურ საქმიანობას. მან

საკონსულტაციო მომსახურება გაუწია აღმასრულებელ დირექტორებსა და მსოფლიო ლიდერებს კორპორაციულ სტრატეგიასა და პირად ქონებაზე. ბ-ნმა ბუტიამ ანგოლაში წარმატებით დაძლია ნავთობის კრიზისის გამოწვევები აქტივებისა და ვალდებულებების მართვაზე ფოკუსირებით და წარმატებით განახორციელა საოჯახო ბიზნესის რესტრუქტურიზაცია. მისი კარიერის მანძილზე, ბ-ნმა ბუტიამ დააგროვა უნარების ფართო წრე, რაც მოიცავს ტრანზაქციის მართვას, კლიენტთან მოლაპარაკებების წარმოებასა და სხვადასხვა საკითხის ზედამხედველობას, როგორიცაა შესაძლებლობების მოძიება, სტრუქტურირება, საკრედიტო რისკები, საბაზრო რისკები, კანონმდებლობასთან შესაბამისობა, კლიენტთა აქტივების დაცვის უზრუნველყოფა და ფინანსური რესურსების მართვა. აღნიშნულმა გამოცდილებებმა მას შესძინა საგულისხმო უნარები სხვადასხვა ფინანსურ აქტივობასა და ეფექტურ ხელმძღვანელობაში.

- **რეიჩელ მარინ ფრიმენ**

რეიჩელ მარინ ფრიმენის განათლება, მათ შორის მოიცავს, პროფესიული განვითარების პროგრამას, კენედის სახელმწიფო სკოლაში, ჰარვარდის უნივერსიტეტი, საცხოვრებლისა და ურბანული განვითარების დეპარტამენტის სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში, მიჩიგანის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხს ბიზნეს ადმინისტრირებაში და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხს (წარჩინებით) მიდლბარის კოლეჯიდან.

ქ-ნი ფრიმენი ფლობს საგულისხმო გამოცდილებას ფინანსური ინიციატივების მართვასა და ხელმძღვანელობაში. 2014 წლიდან 2019 წლამდე, ის იკავებდა ცნობილი ორგანიზაციის ფინანსური ინსტიტუტების ჯგუფის ფარგლებში აზიის წყნარი ოკეანის საკონსულტაციო განყოფილების მენეჯერის პოზიციას ჰონგ კონგში. ამ დროის განმავლობაში, ის ხელმძღვანელობდა საკონსულტაციო მომსახურების გაწევას საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) კავშირის მქონე კლიენტებისათვის. მან გადამწყვეტი როლი ითამაშა ფინანსური ხელმისაწვდომობის პოპულარიზაციაში, აგრეთვე, შეიმუშავა ინოვაციური სტრატეგიები კლიენტებისთვის ისეთ სფეროებში, როგორიცაა ციფრული ბანკინგი, ბანკ-ფინტექის კოლაბორაცია, მწვანე ფინანსები და მცირე და საშუალო ბიზნესების ფინანსები.

საკუთარი ფუნქციების შესრულებებისას, ქ-ნმა ფრიმენმა ეფექტიანად უხელმძღვანელა IFC-ის სამუშაო ძალას, კერძოდ კი, 100-ზე მეტი პირისგან შემდგარ მრავალფეროვან ჯგუფს, რომელიც ზედამხედველობას უწევდა 70 მილიონ აშშ დოლარად შეფასებულ მნიშვნელოვან საკონსულტაციო პორტფელს. მან რეგიონის წამყვან ქვეყნებში მრავალფეროვანი გამოცდილება შეიძინა, რაც მას დაეხმარა ყოვლისმომცველად გაეანალიზებინა რეგიონული დინამიკა და საბანკო ინდუსტრიაში გამოწვევები. მანამდე, 2008 წლიდან 2012 წლამდე, ქ-ნი ფრიმენი მუშაობდა ცენტრალურ აზიაში ოპერაციების უფროსი ოფიცრის თანამდებობაზე, რაც მოიცავდა, აგრობიზნესსა და მცირე საწარმოებისთვის ინვესტიციების ხელშეწყობასა და მართვას. ამ პერიოდში, მან მნიშვნელოვნად გაზარდა აგრობიზნესის პორტფელი 13 მილიონ აშშ დოლარამდე. 2004 წლიდან 2008 წლამდე, ის იკავებდა აფრიკაში ფინანსებთან წვდომისთვის რეგიონალური ბიზნეს ხაზის ლიდერის თანამდებობას იოჰანესბურგში. აღნიშნულ თანამდებობზე ყოფნისას, მან უხელმძღვანელა 20 პროფესიონალისგან შემდგარ გუნდს და განახორციელა არა ერთი პროგრამა ისეთ სფეროებში, როგორიცაა მცირე და საშუალო ბიზნესების ბანკინგი, გენდერული დაფინანსება, საბინაო ფინანსინგი, ლიზინგი, ფინანსური ინფრასტრუქტურა, ფასიანი ქაღალდების ბაზრების განვითარება და მიკროფინანსები. აღსანიშნავია, რომ მან 2.5 წლის განმავლობაში დააარსა შვიდი მიკროსაფინანსო ბანკი 100,000 სასესხო ანგარიშითა და 390,000 სადეპოზიტო ანგარიშით.

- **კახაბერ კიკნაველიძე**

კახაბერ კიკნაველიძის გამოცდილება ფინანსურ სექტორში აღემატება 20 წელს. წლების განმავლობაში, იგი იკავებდა სხვადასხვა წამყვან პოზიციებს, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. მან გადააჭარბა ბანკის ძირითადი შესრულების მიზნებს სასესხო პორტფელის ორნიშნა და კაპიტალის 20% + ზრდით ყოველ სამ წელიწადში. აგრეთვე, 2016-2019 წლებში, ბ-ნი კიკნაველიძე ზედამხედველობას უწევდა ფინანსური და არა-ფინანსური ბიზნესთა ჯგუფების დაყოფას და ამასთან, მოიზიდა პირველი ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული ევრობონდები 500 მლნ-ის ოდენობით. ამ პერიოდში, მან აგრეთვე შეიმუშავა და აამოქმედა სრულიად გადამუშავებული, თანამედროვე

მობილური ბანკინგის პლატფორმა ბანკის 2.1 მილიონი მომხმარებლისთვის. 2008-2016 წლებში, იგი იკავებდა საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობას და როგორც დამოუკიდებელი დირექტორი, მონაწილეობას იღებდა ბანკის განვითარების მიმართულებასთან დაკავშირებულ ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებაში, ზედამხედველობდა შიდა აუდიტს და რისკის ფუნქციებს და ურთიერთობას გარე აუდიტორებთან, როგორც აუდიტისა და რისკის კომიტეტების წევრი. პარალელურად, იგი იკავებდა RIONI CAPITAL PARTNERS-ის (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი) მმართველი პარტნიორისა და ინვესტიციების უფროსი ოფიცრის პოზიციას. ბ-ნ კიკნაველიძეს განათლება მიღებული აქვს როგორც საქართველოში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, იგი ფლობს ემორის უნივერსიტეტის (აშშ) მაგისტრის ხარისხს ფინანსებში, ხოლო საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხს.

დირექტორატი

ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს დირექტორთა საბჭო, რომლის საქმიანობასაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. ბანკის დირექტორთა საბჭო:

- წარმართავს და ახორციელებს ბანკის მიმდინარე საქმიანობას.
- წინასწარ განიხილავს ბანკის აქციონერთა ან სამეთვალყურეო საბჭოს კრებების დღის წესრიგში შეტანილ ყველა საკითხს, ამზადებს სათანადო ინფორმაციას, წინადადებებს და მათზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტებს.
- ფინანსური წლის დასრულებისას ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მომავალი წლის ბიზნეს გეგმას, რაც მოიცავს წლიურ ბიუჯეტსა და მოგება-ზარალის გაანგარიშებას, აგრეთვე ბანკის საინვესტიციო გეგმას.
- მეთვალყურეობას უწევს ბანკის მიერ ისეთი პროცედურების შესრულებას, როგორიცაა გასესხება, ანგარიშსწორება, დაფინანსება, ნაღდ ფულთან დაკავშირებული მომსახურება, გარანტია, ბანკის ნაღდი ფულისა და ფასეულობების ანგარიშგება და ანგარიშების შედგენა, შიდა კონტროლი და ბანკის ყველა ძირითადი საქმიანობის ზედამხედველობა.
- მეთვალყურეობას უწევს ბანკის ფილიალების და სერვის ცენტრების ფუნქციონირებას და უზრუნველყოფს ყველა მმართველის მიერ საკუთარი ამოცანებისა და ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას.
- განიხილავს გარე და შიდა აუდიტის შედეგად მოწოდებულ ინფორმაციას, ფილიალების მმართველების და სერვის ცენტრების ხელმძღვანელების მიერ მოწოდებულ ანგარიშებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით
- უზრუნველყოფს აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს კრებების გადაწყვეტილებების შესრულებას.
- შეიმუშავებს ბანკის პოლიტიკებს, წესებს, შინაგანაწესს და ნებისმიერ სხვა მარეგულირებელ დოკუმენტს და მათ დასამტკიცებლად წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს და უზრუნველყოფს პოლიტიკების, შინაგანაწესის და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტის პირობების დაცვას.
- იღებს გადაწყვეტილებებს პერსონალის შერჩევის, კვალიფიკაციის ამაღლების, დასაქმების, და ანაზღაურების საკითხებზე ბანკის წესდებაში მოცემული შეზღუდვების გათვალისწინებით.
- გადაწყვეტილებას იღებს ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელიც დრო და დრო, შესაძლოა დაევალოს დირექტორთა საბჭოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ (ან მისი ცალკეული წევრების მიერ) და/ან აქციონერთა საერთო კრების მიერ.

დირექტორატის გუნდის წევრების ბიოგრაფიები:

გენერალური დირექტორი – ომარ-სალიმ დანანი

ომარ-სალიმ დანანი გამოცდილი ლიდერი და მეწარმეა 15 წელზე მეტი გამოცდილებით. ომარ-სალიმ დანანი არის გამოცდილი ფინტექ, საბანკო და გადახდების ანტრეპრენერი, რომელიც ფლობს ფართო გამოცდილებას დაფინანსების მოპოვებაში, ბიზნესისა და პროდუქტის მართვაში, ოპერაციებში, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებაში, რისკების მართვასა და მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობაში. მას აქვს დიდი გამოცდილება რეგულირებადი, მრავალბაზრიანი ფინანსური სერვისებისა და ციფრული საბანკო ოპერაციების მასშტაბირების შესახებ, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მისი ძირითადი კომპეტენციებია საცალო და კომერციული ბანკინგი, რისკების მართვა, კორპორატიული მმართველობა, კაპიტალის მართვა, ფინანსური რეგულაციები, ბიზნესის მასშტაბირება და მოლაპარაკებები.

გამოცდილებები:

- **Pave Bank (CEO და თანადამფუძნებელი):** ამჟამად აშენებს ციფრულ ბანკს, რომელიც ფოკუსირებულია პროგრამირებადი ფულისა და ჭკვიანი კონტრაქტების გამოყენებაზე, რაც მიზნად ისახავს გლობალური საბანკო სექტორის რევოლუციას. ააშენა ბიზნესი ნულიდან და ხელმძღვანელობდა სახსრების მოზიდვას, უზრუნველყო აზიაში ყველაზე დიდი წინასწარი დაფინანსება ჩრდილოეთ ამერიკის, ევროპისა და აზიის წამყვანი გლობალური ინვესტორებისგან.
- **BigPay Group (CEO, აღმასრულებელი თავმჯდომარე და თანადამფუძნებელი):** შექმნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყველაზე დიდი ნეობანკი, რომელმაც გააფართოვა ოპერაციები სინგაპურში, მალაიზიაში, ტაილანდსა და ფილიპინებში. მოიზიდა 165 მილიონ დოლარზე მეტი სააქციო კაპიტალი. ხელმძღვანელობდა უამრავი პროდუქტის განვითარებას მომხმარებლებისთვის, რომელთაც არ ჰქონდათ წვდომა სერვისებთან, მათ შორის ელექტრონული ფულის დეპოზიტები, ფულადი გზავნილები და სამომხმარებლო კრედიტები. ბიზნესი შეიძინა KLSE-ში შემავალმა კომპანია Capital A-მ.
- **Carta Worldwide (EMEA რეგიონის ბიზნესის განვითარების ხელმძღვანელი):** ხელმძღვანელობდა კომერციულ ზრდას EMEA რეგიონში, რაც მოიცავდა 450%-იან შემოსავლების ზრდას 2.5 წელიწადში. მართავდა ურთიერთობებს ბანკებთან, ფინტექ კომპანიებთან და დიდ პლატფორმებთან და ხელმძღვანელობდა მრავალ ინიციატივას უცხოურ ვალუტასა და ღია ბანკინგში. ბიზნესი შეიძინა NASDAQ-ის სიაში შესულმა ფირმა Mogo-მ.
- **მსოფლიო ბანკის ჯგუფი (პროგრამის ანალიტიკოსი):** მუშაობდა ლათინურ ამერიკაში ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე, რაც ფოკუსირებული იყო ქონებრივი უფლებების ფორმალიზებასა და რეგიონალური პროექტების დეცენტრალიზაციაზე.

ომარ-სალიმ დანანი აქტიურად არის ჩართული გლობალური ფინტექ საზოგადოებების საქმიანობაში სხვადასხვა ასოციაციებისა და ლიდერის როლების საშუალებით, რომლის საშუალებით ხელს უწყობს გლობალური ფინტექ ინიციატივებს ევროპასა და აზიაში.

გენერალური დირექტორის მოადგილე, რისკების დირექტორი – დმიტრი ბოჩაროვი

დმიტრი ბოჩაროვი არის ფინტეკისა და საბანკო სფეროს ექსპერტი 20 წლიანი გამოცდილებით ციფრული პროდუქტის განვითარებაში, ოპერაციებში და რისკების მართვაში. მას მთავარი აქცენტი არის ტრადიციული და ციფრული საბანკო გადაწყვეტების შერწყმა, რათა მოწინავე ფინანსური სერვისები მიაწოდოს ბაზარს. დმიტრი ხელმძღვანელობდა გარდამტეხ პროექტებს როგორც ევროპაში, ისე აზიაში, სპეციალიზებული ფინტექ სტრატეგიებში, პროდუქტების მართვასა და ციფრული საბანკო ინიციატივებში.

გამოცდილებები:

- **Pave Bank (CRO და თანადამფუძნებელი):** ამჟამად აშენებს ციფრულ ბანკს, რომელიც ფოკუსირებულია პროგრამირებადი ფულისა და ჭკვიანი კონტრაქტების გამოყენებაზე, რაც მიზნად ისახავს გლობალური საბანკო სექტორის რევოლუციას.

- **BigPay Group (Chief Product Officer, Head of Lending, Chief Commercial Officer):** ხელმძღვანელობდა პროდუქტების განვითარებას გადახდების, ციფრული აქტივების, საერთაშორისო გზავნილებისა და სესხების მიმართულებით. თამაშობდა მნიშვნელოვან როლს სრულად ციფრული სესხის პროდუქტების გაშვებაში და BigPay-ის გაფართოებაში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. წვლილი შეიტანა BigPay-ის წარმატებულ 100 მილიონი დოლარის ინვესტირების რაუნდში.
- **VPBank (Chief Digital Officer, Head of Digital Lab, Head of Lending):** მართავდა ციფრული სტრატეგიისა და ტრანსფორმაციის პროცესებს, რამაც ვიეტნამში გამოიწვია ციფრული ბანკინგის მნიშვნელოვანი ზრდა. მიღწევები მოიცავს 94%-იან საცალო ტრანზაქციების გადატანას ციფრულ პლატფორმებზე და ზედამხედველობდა ციფრული ლაბორატორიის განვითარებას, რომელიც ფუნქციონირებდა როგორც ინოვაციების ცენტრი ფინტეკ პროექტებისთვის.
- **Ferratum Group (Country Manager):** ხელმძღვანელობდა ციფრული სესხების გაფართოებას, რისკების მართვის გაუმჯობესებას და დაკრედიტების 300%-ით ზრდას.
- **HSBC (Deputy Head of Affiliate/Head of Retail Business):** დაიწყო HSBC-ის საცალო ბიზნესის ჩამოყალიბება და მიაღწია უმაღლეს რეიტინგების მომსახურების მიწოდებაში.

დმიტრის კარიერა გამოირჩევა ისეთი ჯილდოებით, როგორიცაა „გამორჩეული ციფრული ბანკი“ (IDG International Data Corporation, 2018) და რამდენიმე აღიარება Asian Banker-ისგან ვიეტნამში ციფრული ინოვაციებისთვის.

გენერალური დირექტორის მოადგილე, ტექნოლოგიური დირექტორი – საიმონ ჯეიმს ვანს-კოლინა

საიმონ ვანს-კოლინა გამოცდილი ტექნოლოგიებისა და ფინტექ ინოვატორია, რომელსაც 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს საბანკო, ფინანსური მომსახურებებისა და ღრუბლოვან ინფრასტრუქტურაში. მას აქვს აღიარებული წარმატებები საბანკო ტექნოლოგიური პლატფორმების შექმნასა და მასშტაბირებაში, ასევე ტექნოლოგიური გუნდების ხელმძღვანელობაში ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყველაზე წარმატებული ფინტექ კომპანიებისთვის. საიმონს აქვს ღრუბლოვან პლატფორმებთან მუშაობის ფართო გამოცდილება, მათ შორის AWS და GCP, და ასევე მუშაობდა ისეთ თანამედროვე ტექნოლოგიებთან, როგორიცაა Kubernetes. ის ასევე კონსულტირებას უწევდა PwC-სა და Lloyds Bank-ს საბაზო საბანკო პლატფორმების მიგრაციაში და მონაწილეობდა ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტებისა და სტეიბლკოინების შესახებ განხილვებში ინგლისის ბანკთან.

გამოცდილება:

- **Pave Bank (CTO და თანადამფუძნებელი):** ხელმძღვანელობს ინოვაციური პროდუქტების განვითარებას, უზრუნველყოფს რეგულაციებთან შესაბამისობას და ახორციელებს უსაფრთხო პრაქტიკების განვითარებას წამყვან ფინტექ სტარტაპში.
- **BigPay Group (Chief Technology Officer):** პასუხისმგებელი იყო ტექნოლოგიის ყველა ასპექტზე, მათ შორის 50 ინჟინრისგან შემდგარი გუნდის ხელმძღვანელობაზე და რეგულატორული პასუხისმგებლობების მართვაზე. ხელმძღვანელობდა BigPay-ის ტექნოლოგიურ ინიციატივებს სინგაპურსა და მალაიზიაში.
- **Fronted (Co-Founder & Chief Technology Officer):** იყო თანადამფუძნებელი რეგულირებული ფინტექ კომპანიისა, რომელიც ფოკუსირებული იყო სამომხმარებლო კრედიტებზე. წარმატებით მოიზიდა 20 მილიონი ფუნტი სტერლინგის ოდენობის კაპიტალი. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა როგორც FCA-ის მიერ დამტკიცებულმა პირმა ორგანიზაციის მართვაში.
- **Monzo Bank (Founding Team Member & Platform Engineer):** მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა Monzo-ს განვითარებაში, მათ შორის Kubernetes-ზე მიგრაციაში, რაც ორგანიზაციის მასშტაბირებას უწყობდა ხელს. მისი მუშაობა პროგრამირებად საბანკო მომსახურებაზე გაშუქდა Wired ჟურნალში. Monzo გაიზარდა 7 მილიონ მომხმარებლამდე და მისი ღირებულება $4.5 მილიარდ აშშ დოლარამდე.
- **Open Banking Working Group (კომიტეტის წევრი):** წარმოადგენდა Monzo-ს ღია საბანკო სტანდარტების ჩამოყალიბებაში და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა FAPI და OIDC-ის ავთენტიფიკაციის მიღებაში.

საიმონი ხშირად გამოდის ინდუსტრიულ ღონისძიებებზე, როგორიცაა Money2020, და ასევე მონაწილეობდა 11FS პოდკასტზე, სადაც ფინტექ ინოვაციებსა და საბანკო სისტემაში ღრუბლოვან ინფრასტრუქტურაზე ისაუბრა.

3. ინფორმაცია ბანკის ფილიალებთან დაკავშირებით

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ ჰქონდა ფილიალები.

4. ორგანიზაციის მომავალი განვითარების გეგმები

პეივ ბანკი დაფუძნებიდან ფოკუსირებულია რეგულაციების დაცვაზე, რომლიც მიზნად ისახავს მზარდ რეგულირებულ ფინანსურ გარემოში მომხმარებლის ნდობის მოპოვებას, რაც საშუალებას მოგვცემს მომხმარებელს მივაწოდოთ თანამედროვე ციფრული გამოცდილება და შევთავაზოთ საჭირო ფინანსურ მომსახურებები. ჩვენი მიზანია ბიზნესებისთვის თანამედროვე ფინანსური გადაწყვეტილებების მიწოდება, რითაც Pave ბანკი გახდება პიონერი საბანკო მომავლის შექმნაში, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს ავტომატიზება მოახდინონ ხაზინის, გადახდის ოპერაციების და ზოგადად, ყველა ტიპის საბანკო ოპერაციების. ეს დაეხმარება მომხმარებლებს რისკის შემცირებაში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში და საბანკო მომსახურების ჩვეულებრივთან დაკავშირებული შემხებლობის შემცირებაში, რაც არსებულ ბანკებს ახასიათებთ.

პეივ ბანკი მომხმარებლებს სთავაზობს დამატებით სერვისებს, რომლებიც საშუალებას მისცემს ჩვენს ბანკს ბიზნესების და მომხმარებლების ყოველდღიური საჭიროებების ნაწილად იქცეს ღია ბანკინგის მიდგომისა და პროგრამირებადი საბანკო ელემენტების მეშვეობით.

ბანკის მთავარი ამოცანაა 2024 წელს რეალურ გარემოში საბანკო ოპერაციების დაწყება.

5. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2023 წელს ბანკს არ ჰქონია კვლევასთან დაკავშირებული ხარჯები.

6. საკუთარი აქციების გამოსყიდვა

ბანკს, 2023 წლის განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არ გეგმავს ამის გაკეთებას მიმდინარე ეტაპზე.

7. რისკების მართვა

პეივ ბანკი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მძლავრი რისკის კულტურის განვითარებას, რომელიც მოიცავს ორგანიზაციის ყველა დონეს. ეს ვალდებულება ემთხვევა როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის, ისე ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის მარეგულირებელ მოთხოვნებს, რაც ხაზს უსვამს ეთიკურ ქცევას, ანგარიშვალდებულებას და რისკების ეფექტურ მართვას.

ბანკის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბანკის საქმიანობისათვის და ბანკის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. ბანკის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის, საბაზრო, საოპერაციო და სხვა არაფინანსური რისკები. ბანკის მიერ დანერგილი რისკის მართვის სისტემა საქმიანობის თითოეული მიმართულებისთვის თითოეული ტიპის რისკის დასაშვებ დონეს აწესებს და უზრუნველყოფს მის დაცვას.

დირექტორთა საბჭოს აქვს საერთო პასუხისმგებლობა რისკის მართვის ჩარჩოს ზედამხედველობაზე, ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობასა და მისი რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიმოხილვაზე, აგრეთვე არსებითად დიდი დაქვემდებარებების დამტკიცებაზე. ისინი პასუხისმგებელნი არიან საკითხის დაყენებაზე, რათა უზრუნველყონ რისკის კულტურის ინტეგრირება ბანკის სტრატეგიულ მიზნებსა და ყოველდღიურ ოპერაციებში.

სამეთვალყურეო საბჭო: საბჭო უზრუნველყოფს რისკების მდგრადი კულტურის შენარჩუნებას რისკის პოლიტიკის რეგულარულად განხილვით და დამტკიცებით, რისკის აპეტიტის დადგენით და რისკის მართვის ჩარჩოების დანერგვის ზედამხედველობით.

დირექტორები: დირექტორებს ევალებათ გადააქციონ საბჭოს რისკის პოლიტიკები ქმედითუნარიან სტრატეგიებად და უზრუნველყონ მათი ეფექტური გავრცელება მთელ ორგანიზაციაში.

რისკების კომიტეტი: პეივ ბანკმა შექმნა რისკების კომიტეტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წარმომადგენლებისგან. რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია რისკის კულტურის მონიტორინგზე და ბანკის რისკის მართვის მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. ბანკის მუშაობის განმავლობაში შეიძლება შეიქმნას სხვა სპეციალიზებული რისკის კომიტეტები.

საკრედიტო რისკი

ბანკი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც გულისხმობს, რომ მომხმარებელს ან კონტრაგენტს არ შეუძლია თავისი ვალდებულებების შესრულება – გადაუხდელი თანხების გადახდა. ბანკის საკრედიტო რისკი წარმოიშობა მისი საკრედიტო ოპერაციების და მხარეებთან სხვა გარიგებების შედეგად, ფინანსური აქტივების ირგვლივ. საბალანსო მუხლების საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს მათ საბალანსო ღირებულებებს.

ბანკი ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების'' (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარიცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ რისკი არ არის გაზრდილი მოქმედებს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ბანკს შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე.

2023 წელს ლიცენზიის მიღების მომენტში ბანკი არ ეწეოდა საკრედიტო საქმიანობას და არ გააჩნდა მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის შემცველი მოთხოვნები კონტრაგენტების მიმართ. ამასთან, ბანკი 2024 წელს სესხების გაცემას არ გეგმავს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება, რაც გამოწვეული იქნება ცვლილებებით საბაზრო ცვლადებში, როგორებიცაა საპროცენტო

განაკვეთი და უცხოური გაცვლითი კურსი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში არსებული აქტივები.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი არსებითად არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან მას არ გააჩნია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები, რომლებიც ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების მატარებელია.

უცხოური ვალუტის რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება გაცვლითი კურსის მერყეობის გამო. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი არსებითად არ ექვემდებარება სავალუტო რისკს, რადგან მას არ გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც დამოკიდებული იქნებოდა კურსის მერყეობით გამოწვეულ ფულადი ნაკადების ცვლილებაზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი ვერ შეძლებს მისი გადახდის ვალდებულებების დაკმაყოფილებას დაფარვის თარიღისთვის ჩვეულებრივ და სტრესულ სიტუაციაში. ბანკი ცდილობს მართოს თავისი ლიკვიდური სახსრები ბანკის ლიკვიდურობის პოზიციის მუდმივი მონიტორინგის, ფულადი სახსრების ნაკადების ანალიზისა და ლიკვიდობის სხვაობის შეფასების გზით ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა სტრეს-ტესტი და სცენარების ანალიზი. ბანკი ახორციელებს ლიკვიდობის რისკის მართვის ყოვლისმომცველი ჩარჩოს დანერგვას ლიკვიდურობის რისკების კონტროლისა და შერბილების მიზნით, მათ შორის პოლიტიკის შემუშავებისა და აღსრულების მიზნით, რომელიც ასახავს ბანკის მიდგომას ლიკვიდურობის რისკის მართვის მიმართ, ლიმიტებისა და კონტროლის ჩათვლით, დეტალური გეგმების შედგენა პოტენციური ლიკვიდობის კრიზისის მოსაგვარებლად. გადაუდებელი დაფინანსების წყაროებზე წვდომის ჩათვლით, დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებული პროპორციის უზრუნველყოფა, მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების ჩათვლით, სახსრების რომელიმე წყაროზე დამოკიდებულების შესამცირებლად და მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ბუფერის (HQLA) შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. საკმარისი ლიკვიდობა სტრესის დროს. HQLA უნდა იყოს ადვილად კონვერტირებადი ნაღდ ფულად, ღირებულების მცირე დაკარგვით ან საერთოდ არ დაკარგვით და მოიცავდეს აქტივებს, როგორიცაა ნაღდი ფული, ცენტრალური ბანკის რეზერვები და სავაჭრო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც აკმაყოფილებენ ბაზელის III რეგულაციების კრიტერიუმებს. ბანკი ასრულებს ეროვნული ბანკის მოთხოვნებს HQLA-ზე.

იმის გამო, რომ 2023 წელს ლიცენზიის მიღების მომენტში ბანკი არ ეწეოდა საკრედიტო საქმიანობას და მოზიდული კაპიტალი მთლიანად განთავსებული ჰქონდა მიმდინარე ანგარიშებზე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნია ლიკვიდობის რისკი.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს ზარალის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მოვლენების გამო. როდესაც ვერ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ყველა საოპერაციო რისკის აღმოფხვრა შეუძლებელია, მაგრამ პოტენციური რისკების სწორად განსაზღვრით და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვით ბანკს შეუძლია რისკების მართვა. კონტროლის მექანიზმები უნდა ითვალისწინებდეს უფლება-მოვალეობების სწორად განაწილებას, წვდომების, უფლებამოსილებების იერარქიულ სტრუქტურებს და ოთხი თვალის პრინციპის დანერგვას, კადრებში რისკებზე

ორიენტირებული კულტურის ჩამოყალიბებას, მომზადების და შეფასების პროცესებს, მათ შორის შიდა აუდიტის გამოყენებას.

ოპერაციული რისკების მართვის სტრუქტურა მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორებს, უფროს მენეჯმენტს და რისკების კომიტეტს. საბჭო უზრუნველყოფს ზედამხედველობას და ადგენს რისკის აპეტიტს, ხოლო დირექტორები პასუხისმგებელნი არიან ORM ჩარჩოს განხორციელებასა და შენარჩუნებაზე. ძირითადი კომიტეტები, როგორებიცაა რისკის კომიტეტი, მხარს უჭერს მმართველობის სტრუქტურას კონკრეტული რისკის სფეროებზე ფოკუსირაში.

მარეგულირებლის რისკი

ბანკის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ. შესაბამისად, არსებობს მარეგულირებლის რისკი, რომ ეროვნულმა ბანკმა გაზარდოს არსებული მოთხოვნები, როგორც მთლიანი საბანკო სექტორისთვის, ისე კონკრეტული ინსტიტუტებისთვის. შესაბამისად, შესაძლოა, რომ ბანკის მომგებიანობა და შედეგები დაიტვირთოს მარეგულირებლის მაღალი მოთხოვნებით, მათ შორის, კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის მხრივ.

ეროვნული ბანკი როგორც წესი წინასწარ ავრცელებს მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებებს მოთხოვნებთან დაკავშირებით ამიტომ ბანკს როგორც წესი მიეცემა გონივრული ვადა, რომ მოერგოს ცვლილებებს. შედეგად რეგულატორის რისკის ალბათობა დაბალია.

8. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

აქტივები	**31.12.2023**
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,286
სხვა აქტივები	9
არამატერიალური აქტივები	200
სულ აქტივები	**5,495**
ვალდებულებები	
საგადასახადო ვალდებულებები	95
სხვა ვალდებულებები	21
სულ ვალდებულებები	**116**
კაპიტალი	
სააქციო კაპიტალი	5,000
გაუნაწილებელი მოგება	379
სულ კაპიტალი	**5,379**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**5,495**

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023 (14 მარტიდან)
საპროცენტო შემოსავალი		261
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**261**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(171)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა		(88)
საოპერაციო მოგება		**2**
მოგების გადასახადის ხარჯი		-
მთლიანი სრული შემოსავალი		**2**

კაპიტალის მაჩვენებლები

ბანკის კაპიტალის მართვის ძირითადი მიზანია, რომ ბანკს მუდმივად ჰქონდეს საკმარისი ოდენობის და ხარისხის კაპიტალი, რათა ყველაზე ცუდ შემთხვევაშიც შეძლოს სხვადასხვა რისკის შედეგად გამოწვეული (პოტენციური) დანაკარგების დაფარვა და შესაბამისობაში იყოს რეგულატორის მიერ დაწესებული კაპიტალის მართვის მოთხოვნებთან.

9. არაფინანსური მაჩვენებლები

ბანკის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი, რადგან აღნიშნული მაჩვენებლების წარმოდგენა არ იძლევა დამატებით სასარგებლო ინფორმაციას ბანკის საქმიანობისა და მდგომარეობის გასაგებად.

10. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

ბანკის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი	_____	ომარ-სალიმ დანანი
გენერალური დირექტორის მოადგილე	_____	დმიტრი ბოჩაროვი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023 (14 მარტიდან)
საპროცენტო შემოსავალი		261
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**261**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(171)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა		(88)
საოპერაციო მოგება		**2**
მოგების გადასახადის ხარჯი		-
მთლიანი სრული შემოსავალი		**2**

კაპიტალის მაჩვენებლები

ბანკის კაპიტალის მართვის ძირითადი მიზანია, რომ ბანკს მუდმივად ჰქონდეს საკმარისი ოდენობის და ხარისხის კაპიტალი, რათა ყველაზე ცუდ შემთხვევაშიც შეძლოს სხვადასხვა რისკის შედეგად გამოწვეული (პოტენციური) დანაკარგების დაფარვა და შესაბამისობაში იყოს რეგულატორის მიერ დაწესებული კაპიტალის მართვის მოთხოვნებთან.

9. არაფინანსური მაჩვენებლები

ბანკის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი, რადგან აღნიშნული მაჩვენებლების წარმოდგენა არ იძლევა დამატებით სასარგებლო ინფორმაციას ბანკის საქმიანობისა და მდგომარეობის გასაგებად.

10. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

ბანკის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი	_____	ომარ-სალიმ დანანი
გენერალური დირექტორის მოადგილე	_____	დმიტრი ბოჩაროვი